



პიტერ კერი

ძ ა რ ც ვ ა

ერთი სიყვარულის ამბავი

დიფინეს
ბიბლიოთეკა

პიტერ კერი

ძარცვა

ერთი სიყვარულის ამბავი

Peter Carey

THEFT

A love story

მთარგმნელი ქეთი ქანთარია
რედაქტორი ლალი ჭინჭარაული
სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია
დიზაინერი ნინო გურული

© Peter Carey, 2007

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013

ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2298-0210

ISBN 978-9941-11-399-4

www.diogene.ge

ედვინება ბელს

„მეფობა მელის თუ ღორის ხვედრი?“

ფლობერი, „გულახდილი ჩანანერები“

„ხოაკიმი ომამდე დაიბადა, იმ დროს, როცა ბავშვებს მთავრული ასოების ხმარების ცამეტი წესი ჰქონდათ სასწავლი. ამ წესებს ხოაკიმმა ერთი საკუთარიც შეჰმატა: ქვეყანა თავზეც რომ დამხოზოდა, ყოველთვის ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც თავად სურდა.“

მაკალო ფერნანდესი, „ერთი კაცი“

ძარცვა

არც ვიცი, არის ვითომ ჩემი ამბავი ისეთი მნიშვნელოვანი, რომ ტრაგედიად ჩაითვალოს? რის მოყოლასაც ვაპირებ, რა თქმა უნდა, სიყვარულის ამბავია, მაგრამ ეს რომ დაიწყო, ჩემი უბედურებების ნახევარი უკვე მომხდარი იყო. იმ დროისთვის მარტო ჩემი რვა წლის ბიჭი კი არ მყავდა დაკარგული! სიდნეიში, სადაც ოდესღაც ისეთი სახელი მქონდა, ბევრი მხატვარი რომ ოცნებობს, სახლიც დავკარგე და სახელოსნოც. იმ წელს კინალამ ავსტრალიის ორდენი მივიღე, ან ვითომ რატომ არ უნდა მიმეღო, მით უფრო, როცა ვიცი, ვის აძლევენ ხოლმე ჩვენს დროში ამ ორდენს. მაგრამ ორდენი არ მიმიღია, პირიქით, ბავშვი წამართვეს, მერე ადვოკატებმა გაყრის საქმეებით სული ამომხადეს, ჩემი საუკეთესო ნამუშევრის დაბრუნების მცდელობისთვის კი, რომელიც ქორწინების წლებში მეუღლეების ერთობლივ შენაძენად მიიჩნიეს, ციხეში მიკრეს თავი.

ლონგ ბეის ციხიდან 1980 წლის სუსხიან გაზაფხულზე გამოვედი და მაშინვე შევიტყვე, რომ ახალი სამხრეთ უელსის ჩრდილოეთში უნდა გადავბარგებულიყავი. იმის ფულიც არ

მქონდა, ცოტა თავისთვის მიმეხედა, თუმცა, თუ სასმელზე დავზოგავდი და შიგადაშიგ შეკვეთილ ნამუშევრებს გამოვაცხოზდი, თავსაც გავიტანდი და ჩემს 220-ფუნტიან ჭკუანაკულულ ძმას, ჰიუსაც ვუპატრონებდი.

ჩემმა ადვოკატებმა, დილერებმა და კოლექციონერებმა ჩემს საშველად პირი შეკრეს. დიდი სიკეთე და ზრუნვა კი გამოიჩინეს. რა დასამალია და, ჰიუს მეთურვეობის გამო თავსატეხი აქამდეც არ დამკლებია; არც სიდნიდან სადმე გადასვლა ან სასმელზე ფულის დაზოგვა მიჯდებოდა ჭკუაში. რაკი ამ სიმართლის საღიარებლად გამბედაობა არ მეყო, იმ გზას დავადექი, რომელიც ჩემს უკითხვად ამირჩიეს. სიდნიდან ჩრდილოეთით, ორი ათასი მილის მოშორებით, ტარის სასტუმროში სისხლი ამოვახველე. მადლობა ღმერთს-მეთქი, ვიფიქრე. ახლა ხომ ძალას ველარ დამატანდნენ.

მაგრამ ფილტვების ანთება გამოდგა და, ნურას უკაცრავად, არ მოვკვდი.

ეს გეგმა ჩემი ნახატების ყველაზე მსხვილი კოლექციონერის, ჟან-პოლ მილანის თავში იშვა. მის სააგარაკო მამულს, რომელსაც ჟან-პოლი ნელინად-ნახევრის განმავლობაში ყიდდა, მაგრამ საშველი არ დაადგა, უხელფასო დარაჯად და მომვლელად უნდა დავდგომოდი. ჟან-პოლი სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის მფლობელი იყო, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომისიამ დაუნიოკა, თუმცა, ხატვაც უყვარდა და თავისმა ღიზინერმა მაგარი სახელოსნო მოუწყო – მდინარის მომიჯნავე კედელი ასანევი კარივით ეხსნებოდა. თითქოს რაღაც საჩუქარი გაეკეთებინოს, სიამაყით გამაფრთხილა, ბუნებრივ განათებას მწვანე ფერი დაჰკრავსო: მზის შუქი მდინარეზე გადაფენილი უძველესი კაზუარინების ფოთლებში ატანდა. ალბათ, უნდა

მეთქვა, რომ ბუნებრივი განათების ამბავი მეკიდა, მაგრამ, როგორც მჩვევია, ენას მაშინაც კბილი დავაჭირე. ციხიდან გამოსვლის პირველივე საღამოს ჟან-პოლის და მისი ცოლის ძუნწად მორთმეულ, უღვინო სადილზე წყნარად ვიჯექი და თავს ვუქნევდი, ბუნებრივ განათებას, სანთლების შუქს და ვარსკვლავების ციმციმს ადამიანები როგორ შეელივნენ-მეთქი. სანთლების შუქის თამაშში კაბუკის თეატრს მაინც ვერაფერი შეედრება, მანეს ტილოებს კი ყველაზე მეტად დამტვერილი ფანჯრების განათება უხდება, მაგრამ ამას იმ წუთას რა მნიშვნელობა ჰქონდა – ჩემს ნამუშევრებს გალერეებში სიცოცხლე ან განადგურება ელოდათ, მე კი სამუშაოდ 240-ვოლტიანი ელექტრობა მჭირდებოდა. ახლა ამ „სამოთხეში“ ცხოვრება მენწრა, რომელშიც წესიერი განათების იმედიც არ უნდა მქონოდა.

ჟან-პოლს, რომელმაც თავისი სახლი ასე დიდსულოვნად დამითმო, მალე სხვა კუჭის წვა დაეწყო – სულ ეჩვენებოდა, რომ მის არყოფნაში რამეს გავაფუჭებდი. ოდესღაც მისი ცოლი თავზე მაშინ წამომადგა, როცა მისი სუფრის ხელსახოცით ცხვირს ვიხოცავდი და ასე მგონია, ეს ახლანდელი განგაშიც მისი ატეხილი უნდა ყოფილიყო. ასეა თუ ისე, ბელინგენში ჩასვლიდან მეექვსე დილას ჟან-პოლი სახლში შემომეჭრა და ფეხზე წამომადგო. ყველა თვალსაზრისით უსიამოვნო შოკი იყო, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე და ყავა მოვუდღულე. მომდევნო ორი საათი ერთგული ძალღვივით კუდში დავდევდი, თავისი მამულის ყველა კუთხე-კუნჭული მომატარა. თუკი რამე სისულელე მოუვიდა თავში დასაბარებლად, სულ ჩემს ძველებურ ტყავის ნიგნაკში ჩავიწერე. სხვა ჩასანწერი არაფერი მქონდა, თორემ ის ნიგნაკი სიცოცხლეზე ნაკლებად არ მიყვარდა. 1971 წელს მოწყობილი გახმაურებული გამოფენის

შემდეგ მასში საღებავების შესაზავებელ პროპორციებს ვინერდი. ის იყო ჩემთვის განძით სავსე ოთახი, ჩემი დღიური, ჩემს აღმაფრენათა და დაცემათა ამბავი, ჩემი ცხოვრების ისტორია.

– ნარშავას მივხედოთ, ამოსაძირკვია, – მეტყოდა ჟან-პოლი, და მეც: „ნარშავას მივხედოთ“ – ვინერდი ჩემს ლამაზ ნიგნაკში. დავყვებოდი და მითითებებს ხმამაღლა ვიმეორებდი. ნაქცეული ხეები წყლის პირას. იქვე დაუდევრად მიგდებული ელექტროხერხი. ტექნიკური ზეთით მოთხვრილი ბოთლები. მერე სახლის უკან გაჩერებული ტრაქტორი მოხვდა თვალში. სამხერხაოც მოუფლელი იყო და ჰიუ შეშის დასაწყობად გავამწესე – ისე უნდა დაეწყო, როგორც ჟან-პოლს მიაჩნდა საჭიროდ. ბოლოს მე და ჩემი მფარველი სახელოსნოში მივედი. ფეხზე გაიხადა, გეგონებოდა, ლოცვას აპირებდო. სხვა რა გზა მქონდა, მეც მივბაძე. მდინარისპირა კედლის ასანევი კარი გახსნა, თვალი გაუშტერდა და მონეს „წყლის შროშანები“ ახსენა. ადრეც შემინიშნავს: ძალიან კობტა ტერფები ჰქონდა, თეთრი და ჩამოქნილი. ბარე ორმოცდაათს უკაკუნებდა, მაგრამ ფეხის თითები ჩვილივით სწორი და თოთო ჰქონდა.

ჟან-პოლი ოცამდე სანატორიუმის მფლობელი იყო, მაგრამ მისი შეხება ჭკუაში მაინც არ მიჯდებოდა, თუმცა, იქ, სახელოსნოში, მხარზე ხელი დამადო.

– აქ თავს ბედნიერად იგრძნობთ, ბუჩერ.

– ჰო, ალბათ.

ნაგრძელებულ, მაღალჭერიან ოთახს თვალი მოავლო, მერე იატაკის გლუვ ზედაპირს თავისი მოვლილი, უზადო ტერფი რამდენჯერმე დაჰკრა. თვალები სენტიმენტალურად ჰქონდა აწყლიანებული, თორემ კაცს მალაყის გასაჭიმად გამზადებული ტანმოვარჯიშე ეგონებოდა.